



იუსტიციის
უმადლესი სკოლა

სასამართლოს მოხელეთა (მოსამართლის თანაშემწე, სხდომის მდივანი, სასამართლოს სხვა მოხელეები)

სპეციალური სასწავლო კურსის გავლის წესი და პროგრამა

1. სასწავლო კურსის მიზანი

სასამართლოს მოხელეთა (მოსამართლის თანაშემწე, სხდომის მდივანი, სასამართლოს სხვა მოხელეები) სპეციალური სასწავლო კურსის (შემდგომში სასწავლო კურსი) მიზანია სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებსაც მოხელისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ექნებათ.

2. სასწავლო კურსის ზოგადი აღწერა

სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა 2 თვე. თითოეულ კურსზე მაქსიმალური რაოდენობაა 65 მსმენელი, ხოლო თითოეულ სასწავლო კურსზე ჯგუფების და ჯგუფში მსმენელების რაოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი. წლის განმავლობაში სასწავლო კურსების რაოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო. სასწავლო კურსების რაოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება საერთო სასამართლოების საჭიროება და იუსტიციის უმაღლესი სკოლის არსებული მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორს უფლება აქვს სასწავლო კურსის გავლის მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით და სკოლის შესაძლებლობებიდან, ასევე მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება სასწავლო კურსის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე. თუ სასწავლო კურსი არ შედგა - კანდიდატებს სრულად დაუბრუნდებათ გადახდილი თანხა, მათ შორის, საბუთების შეტანის საფასურიც. სასწავლო კურსის დაწყების თარიღს განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი.

სწავლება განხორციელდება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და მოიცავს როგორც თეორიულ სწავლებას, ისე პრაქტიკულ საქმიანობას. სწავლება განხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით, აუცილებლობიდან გამომდინარე, სწავლება შეიძლება განხორციელდეს შაბათ-კვირის დღეებშიც. დღის განმავლობაში გათვალისწინებული იქნება ორი 15 - წუთიანი შესვენება და ერთსაათიანი შესვენება.

სასწავლო კურსის თემების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თანხმობით, ამტკიცებს სასწავლო კურსის დეტალურ პროგრამას.

სასწავლო კურსის ფარგლებში, სამართლებრივ და სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტრენინგების ჩატარების უპირატესობა როგორც წესი, მიენიჭებათ მოქმედ მოსამართლეებს, ხოლო სხვა საკითხებზე ტრენინგებს შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტები ჩაატარებენ.

თუ სასწავლო კურსის მსმენელი, არასაკაპიო მიზეზით გააცდენს სასწავლო აქტივობების 25%-ზე მეტს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით, მსმენელი შეიძლება გაირიცხოს კურსიდან. მსმენელის გარიცხვის პროცედურები განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი სკოლის შინაგანაწესის მე-15 მუხლის შესაბამისად.

3. სწავლების საფასური

სასწავლო კურსი ფასიანია და მისი ოდენობა შეადგენს 800 ლარს. სასწავლო კურსზე საბუთების შეტანის საფასური შეადგენს 25 ლარს და იგი კანდიდატს უკან არ უბრუნდება, გარდა ამ წესით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. კანდიდატს, რომელიც ჩაირიცხება კურსზე, საბუთების შეტანის საფასური ჩაეთვლება სწავლების საფასურში. კანდიდატი ვალდებულია სწავლების საფასური სრულად დაფაროს სასწავლო კურსზე ჩარიცხვამდე. გამონაკლის შემთხვევებში, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია გადაუვადოს კონკრეტულ კანდიდატს სწავლების საფასურის ნაწილის გადახდა, მაგრამ არაუმეტეს, სასწავლო კურსზე ჩარიცხვიდან 3 კვირისა. იმ შემთხვევაში, თუ 3 კვირის ვადაში მსმენელი სრულად მაინც არ დაფარავს სწავლების საფასურს, იგი გაირიცხება სასწავლო კურსიდან და საფასურის გადახდილი ნაწილი უკან არ დაუბრუნდება.

თუ მსმენელი სწავლების საფასურის დაფარვის შემდეგ რაიმე მიზეზით ვერ შეძლებს სწავლის გაგრძელებას, მას გადახდილი საფასური უკან არ დაუბრუნდება. გამონაკლის შემთხვევაში, მსმენელის განცხადების საფუძველზე, დირექტორს უფლება აქვს აღნიშნული მსმენელი დაუშვას შემდეგ სასწავლო კურსზე დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული კვოტის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსზე ჩარიცხული საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მოქმედი თანამშრომლები თავისუფლდებიან სასწავლო კურსზე სწავლების და სასწავლო კურსზე საბუთების შეტანის საფასურის გადახდისაგან.

4. სასწავლო კურსზე მსმენელთა მიღება

სასწავლო კურსზე მიღებას აცხადებს იუსტიციის უმაღლესი სკოლა. განცხადება სასწავლო კურსზე მიღების დაწყების შესახებ ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდზე და სკოლის Facebook გვერდზე, ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ინფორმაციის

გავრცელების სხვა საშუალებებიც. კანდიდატებს საბუთების შესატანად ეძლევათ არანაკლებ 10 სამუშაო დღე საბუთების მიღების დაწყებისა და საბუთების მიღების დასრულების ვადებს განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი. საბუთების მიღება წარმოებს სამუშაო დღეებში, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ადგილზე და ასევე ელექტრონულად სკოლის ვებგვერდის მეშვეობით.

სასწავლო კურსის მსმენელი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას. კანდიდატმა უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები: ა) განცხადება სასწავლო კურსზე ჩარიცხვის შესახებ; ბ) ავტობიოგრაფია (CV); გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი; დ) საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომის ასლი ან შესაბამისი ცნობა; ე) მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ვ) ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4; ზ) საბუთების შეტანის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თუ სასწავლო კურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა აღემატება კურსზე მისაღებ მსმენელთა მაქსიმალურ რაოდენობას, ტარდება მისაღები ტესტირება. ტესტირება ტარდება წერილობით ან ელექტრონულად. ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად პირს ეძლევა 2 ასტრონომიული საათი. ტესტირებაზე დაგვიანებით გამოცხადებული პირები ტესტირებაზე არ დაიშვებიან. მისაღები ტესტირების ჩატარებისთვის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის მიერ იქმნება საგამოცდო კომისია და საგამოცდო კომისიის სამდივნო. მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-15 მუხლის შესაბამისად.

მისაღები ტესტირების შედეგების შესახებ კანდიდატს შეუძლია ისარგებლოს პრეტენზიის წარდგენის უფლებით, მისაღები ტესტირების შედეგების გამოცხადებიდან, მომდევნო დღის სამუშაო საათების დასრულებამდე. პრეტენზიის წარდგენა შეიძლება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში დადგენილ სამუშაო საათებში. წარდგენილ პრეტენზიას განიხილავს საგამოცდო კომისია, რომელიც პრეტენზიის წარდგენიდან არაუგვიანეს, 2 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პრეტენზიასთან დაკავშირებით.

მისაღები ტესტი შედგება 50 კითხვისაგან/საკითხისაგან. ტესტის ყოველი საკითხი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი, აღწერილობითი ნაწილი შეიცავს სამართლებრივი შემთხვევის აღწერას ან/და კითხვას, ხოლო მეორე ნაწილი – ამ შემთხვევის სამართლებრივი გადაწყვეტის ოთხ შესაძლო ვარიანტს (პასუხს). გამოსაცდელის ამოცანაა გამოიყენოს სწორი პასუხი და მონიშნოს/შემოხაზოს ამ პასუხის აღმნიშვნელი ანბანის ასო. ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი. გამოსაცდელმა უნდა მონიშნოს/შემოხაზოს მხოლოდ ერთი პასუხი. თუ მონიშნულია/შემოხაზულია ერთზე მეტი პასუხი ან არცერთი პასუხი არ არის მონიშნული/შემოხაზული, ტესტის ამოხსნა ფასდება 0 (ნული) ქულით. ტესტის ყოველ საკითხზე სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი) ქულით, არასწორი პასუხი – 0 (ნული) ქულით.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული კვოტის ფარგლებში, მისაღები საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მოქმედი თანამშრომლები არ გადიან მისაღებ ტესტირებას და მათი სასწავლო კურსზე მიღების საკითხს წყვეტს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი, შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე. ამასთან, შესაძლებელია იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული კვოტის ფარგლებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული შესაბამისი მემორანდუმების საფუძველზე, ამ დაწესებულებების სტუდენტების სასწავლო კურსზე ჩარიცხვა განხორციელდეს მისაღები ტესტირების გარეშე.

ტესტირების შედეგად, კურსზე მისაღებ მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობის ფარგლებში, სასწავლო კურსზე ჩარიცხებიან საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატები (დამოუკიდებელი საბჭოს მიერ განსაზღვრული კვოტის ფარგლებში სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით ჩარიცხული პირების გათვალისწინებით). ტესტირებაში თანაბარი შედეგების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს იურიდიული პროფესიით მუშაობის მეტი ხნის გამოცდილება. ხოლო თუ ტესტირებაში თანაბარი შედეგების მქონე კანდიდატებს აქვთ იურიდიული პროფესიით მუშაობის თანაბარი გამოცდილება, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა სკოლას სასწავლო კურსზე ჩარიცხვის შესახებ.

5. სასწავლო კურსის დამამთავრებელი გამოცდა

სასწავლო კურსის დასასრულს ჩატარდება ტესტირება. ტესტირება ტარდება სწავლის დასრულებიდან არაუადრეს, 3 დღის გასვლის შემდეგ, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი. სასწავლო კურსის დამამთავრებელ ტესტირებას ატარებს საგამოცდო კომისია, რომლის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-15 მუხლის შესაბამისად. საგამოცდო კომისიის ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და ტესტირების ორგანიზების მიზნით, დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება საგამოცდო კომისიის სამდივნო, რომლის შემადგენლობას სკოლის თანამშრომელებისგან განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

ტესტირება ტარდება წერილობით ან ელექტრონულად. ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად პირს ეძლევა 5 ასტრონომიული საათი. ტესტირებაზე დაგვიანებით გამოცხადებული პირები ტესტირებაზე არ დაიშვებიან. ტესტებში შეტანილი იქნება საკითხები კურსის ფარგლებში გავლილი თემებიდან, როგორც წესი, შესაბამისი პროპორციის დაცვით. სულ იქნება 100 საკითხისაგან შემდგარი ტესტი, ხოლო ტესტირება წარმატებულად ჩაითვლება 70 ან მეტი სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში.

თუ სასწავლო კურსის მსმენელმა მოაგროვა არანაკლებ, 65 ქულა, მას შეუძლია ისარგებლოს პრეტენზიის წარდგენის უფლებით, დამამთავრებელი ტესტირების შედეგების გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში. პრეტენზიის წარდგენა შეიძლება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში დადგენილ სამუშაო საათებში. წარდგენილ პრეტენზიას განიხილავს საგამოცდო კომისია, რომელიც პრეტენზიის წარდგენიდან არაუგვიანეს, 3 სამუშაო დღის ვადაში იღებს

გადაწყვეტილებას პრეტენზიასთან დაკავშირებით. მსმენელი, რომელმაც ვერ ჩააბარა გამოცდა, შეიძლება მხოლოდ ერთჯერადად იქნას დაშვებული სასწავლო კურსის მორიგ დამამთავრებელ გამოცდაზე, მორიგ სასწავლო კურსთან ერთად. თუ მსმენელმა მოაგროვა 50 ქულაზე ნაკლები ქულა იგი არ დაიშვება სასწავლო კურსის მორიგ დამამთავრებელ გამოცდაზე.

მსმენელი, რომელიც სასწავლო კურსის დამამთავრებელ გამოცდაში მიიღებს არანაკლებ 70 ქულას, მიეცემა სერტიფიკატი სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შესახებ. მსმენელს, რომელიც სასწავლო კურსის დამამთავრებელ გამოცდაში მიიღებს 40 ქულიდან 70 ქულამდე, მიეცემა სერტიფიკატი მითითებით: მონაწილეობა მიიღო.

6. სასწავლო კურსის თემები

	თემა	ხანგრძლივობა
N 1	სასამართლო სისტემის ორგანიზება და რეფორმის მიმართულებები	1 დღე
N 2	წარმატების მიღწევის უნარები	2 დღე
N 3	ადამიანური რესურსების მართვა	1 დღე
N 4	სასამართლოს მოხელეთა კომუნიკაციის სტანდარტები	2 დღე
N 5	მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები	1 დღე
N 6	საქმისწარმოების პროცესი და ელექტრონული პროგრამა	2 დღე
N 7	ლიდერობა და მენეჯმენტი სასამართლოში	2 დღე
N 8	შრომის კოდექსი და საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობა	2 დღე
N 9	სასამართლოს მოხელეთა ეთიკის წესები	1 დღე
N 10	საკონსტიტუციო სამართალი	3 დღე
N 11	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სამართალი	3 დღე
N 12	სისხლის სამართალი	2 დღე
N 13	სისხლის საპროცესო სამართალი	3 დღე
N 14	სამოქალაქო სამართალი	3 დღე
N 15	სამეწარმეო სამართალი	1 დღე
N 16	სამოქალაქო საპროცესო სამართალი	2 დღე
N 17	ნორმის განმარტება/რელაციისა და სუბსუმციის ტექნიკები	1 დღე
N 18	ადმინისტრაციული სამართალი	3 დღე
N 19	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	2 დღე
N 20	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	2 დღე
N 21	საპროცესო დოკუმენტების შედგენა	3 დღე
N 22	სასამართლოს მოხელეთა გამართული მეტყველება	1 დღე
N 23	სასამართლოს მოხელეთა გამართული წერა	1 დღე

